# მ ი ლ ო ც ვ ა

## რეზო გოგოხია – გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი

გამოჩენილ ქართველ ეკონომისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ ,,ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარ რედაქტორს ბატონ რეზო გოგოხიას 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი რეზო დაიბადა წალენჯიხის ულამაზეს სოფელ ფახულანში, მდიდარი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში; საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, 1953 წელს, ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე და წარჩინებით დაამთავრა იგი 1958 წელს. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1988 წელს გახდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 1989 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. მის კალამს ეკუთვნის 15–მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო, 150–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

პროფესორი რეზო გოგოხია სხვადასხვა დროს მუშაობდა თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტად, პროფესორად, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ–ეკონომიკური ლაბორატორიის გამგედ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ, თსუ სოხუმის ფილიალში მის მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგედ, თსუ ზუგდიდის ფილიალის ზოგად ეკონომიკურ დისციპლინათა კათედრის გამგედ. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით შესრულებულია და დაცულია 30–ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი რ. გოგოხია არის მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. იყო თსუ ეკონომიკის ფაკულტეტისა და ეკონომიკის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს, მათ შორის თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ბატონ რეზო გოგოხიას, როგორც სსრკ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრს, უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის ფორმირებასა და განვითარებაში. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ ,,მაცნეს" ეკონომიკის სერიის სწავლული მდივანი, ჟურნალ ,,ეკონომისტის" განყოფილების გამგე, წლების განმავლობაში რედაქტორობდა მის მიერ დაარსებულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს ,,სოციალური ეკონომიკა". ამჟამად იგი მაღალრეიტინგული ჟურნალის ,,ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარი რედაქტორია.

ბატონი რეზოს ჯილდოებს შორის აღსანიშნავია ,,ივანე ჯავახიშვილის მედალი", ,,ღირსების ორდენი".

ბატონი რეზო ცნობილია, როგორც ქართული ტრადიციების მედგარი დამცველი, დიდი ოჯახისა და გოგოხიათა გვარის თავკაცი, მისი მასწავლებლების აკად. პ. გუგუშვილისა და სხვათა მოამაგე, კაცობის, მეგობრობის ეტალონი, პრინციპული და მომთხოვნი, სიტყვის კაცი.

ვულოცავთ მას დაბადებიდან 80 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და შემდგომ წარმატებებს.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*ბიზნეს - ინჟინერინგის ფაკულტეტი*
*საინჟინრო - ეკონომიკის დეპარტამენტი*
*ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგის" სარედაქციო კოლეგია*